პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 86 (18628) ოთხშაბათი, 13 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სოციალისტურ ვალდებულებებს შესრულება უნდა!

ეკონომიკის ეფექტიანი გაძღოლის საქმეში ერთ-ერთი უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური შეჯიბრების მეცნიერულ საფუძველზე წარმართვას. სწორედ აქ უშუალოდ შრომითი მეტოქეობის პროცესში იბადება შემოქმედებითი ინიციატივის ახალი ფორმები, რიგითი ადამიანები ავლენენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშებს.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავების უზრუნველყოფის კონკრეტული ამოცანები, 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და მითითებანი მოქმედების სახელმძღვანელოდ აღიქვეს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა და შრომითმა კოლექტივებმა.

მათ საქმით აუბეს მხარი მოსკოვის მონინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას იმუშაონ დვეიზით: „პატივი და დიდება შრომის მიხედვით!“. ნიშანდობლივია, რომ სოციალისტური შეჯიბრების ამყამინდელი ეტაპიც სისტემურად არის დაკავშირებული სამეურნეო მართვის სრულყოფის, ეკონომიკის ნინაშე წამოჭრილი მთელი რიგი საკვანძო საკითხების წარმატებულ გადაწყვეტასთან.

„საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას“ — ამ ხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ეს მითითება გახდა მოქმედების სახელმძღვანელო, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლექტივებისათვის, რომლებმაც შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, უყაირათობის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება გახადეს სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელოვან მაჩვენებლად.

და თუ ყოველი შრომითი კოლექტივი მიჩნეულია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჯაჭვის რგოლად, მაშასადამე, სწორედ აქ უნდა უზრუნველვყოთ მუშაობა ზუსტი გრაფიკის მიხედვით, გამოვავლინოთ მაქსიმალური აყირავიანობა ნედლეულისა და მასალების, ელექტროენერგიისა და სანვავი რესურსების ხარჯვისას, პატივი ვცეთ მომიჯნავეთა შრომასა და დროს.

სახელმწიფო დავალებათა უთუო შესრულება ყოველი კოლექტივისათვის კანონი, ღირსებისა და მუშური სინდისის საქმეა, მაშასადამე, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი დღეს ამგვარი კანონის ძალას იძენს. თუ იკისრე, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი ხომ კოლექტიური, საჯარო მოთათბირების შედეგია, მაშ, კეთილ ინებე და სიტყვას ასრულებ მოაყოლე. აბა, რა ავტორიტეტი და პატივისცემა უნდა ჰქონდეს კოლექტივის წევრებს შორის ისეთ სამეურნეო ხელმძღვანელს, რომელიც ჯერ საჯაროდ აცხადებს გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს, შემდეგ კი კვარტალის და წლის ბოლოს ზემდგომ ორგანოებში დარბის შემცირების მიზნით სახელმწიფო გეგმების კორექტირებისათვის.

ამ მხრივ ბევრს სცოდავენ ჩვენი შშენებლები. როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა 1982 წელს საბინაო შშენებლობის სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ცალკეულ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტების საკითხი. საქართველოს სსრ შშენებლობის სამინისტროს ქუთაისის, ბათუმისა და გორის სახლთსაშენებელი კომბინატების ხელმძღვანელებს ამხანაგებს რ. გ. ბეჟუაშვილს, ე. ლ. ხვიჩიას, ვ. ნ. ფოცხვერაშვილს, რომელებმაც ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო დავალებათა შესრულება, პარტიული სასჯელი დაედოთ.

მეორეს მხრივ, ზემოაღნიშნული ფაქტი ნათლად მეტყველებს იმასაც, რომ ბევრ სამშენებლო ორგანიზაციაში უგულებელყოფენ სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორც სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულების საიმედო, ნაცად ბერკეტს, ფორმალურად უდგებიან მას. არ ხდება ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შეჯამება და მისი საჯარო განხილვა.

ჩვენი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში არის უდიდესი შესაძლებლობები, ამოუწურავი რეზერვები წარმატებული წინსვლისათვის, მაგრამ ისინი რომ გამოვიყენოთ, საჭიროა მეტი პრინციპულობით მოვეკიდოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბნერილი ყოველი პუნქტის შესრულებას, მის კონტროლს. ამას ყოველთვის მივაღწევთ, თუ შეურიგებელ ბრძოლას გამოვუცხადებთ, და უნდა გამოვუცხადოთ კიდეც, ფორმალიზმს, მატერიალურად და მორალურად ნავახალისებთ ჭეშმარიტ პატრიოტებს, მონინავეებს, საუკეთესო დამრიგებლებს, ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლ „მოუსვენარი აზრის“ ადამიანებს, რომელთა ნოვატორული შრომა და ნიჭი ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობა დამახასიათებელი ნიშანია სოციალისტური საზოგადოებისა, სადაც შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება ადამიანის უპირველესი საარსებო მოთხოვნილებაა, ზნეობრივი ნორმაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე, როგორც ცნობილია, განიხილეს მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მეცადინეობის კონცენტრაციის საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოები არა მარტო წარმოების რეზერვების, არამედ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გზების ძიების შტაბს უნდა წარმოადგენდნენ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების მაღალ ტექნიკურ უზრუნველყოფას.

რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული აღნიშვნისათვის, მიმდინარეობს იგი რუსი და ქართველი ხალხების მონოლითური ერთიანობის სულისკვეთებით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მტკიცე საფუძველზე.

ამ დიდი მოვლენის იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიული ორგანიზაციები წარმართავენ დევიზით, რომ რესპუბლიკის მშრომელებს კიდევ უფრო ღრმად ჩაუნერგონ ჩვენი დიადი თანამეგობრობის, სხვა ერებთან და ეროვნებებთან მეგობრობის გრძნობა, ღირსეულად შეხვდნენ რუსი და ქართველი ხალხების ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის 200 წლისთავს, გაზარდონ სოციალისტური შეჯიბრების როლი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში.

ახლა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაწესებულია სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის ყოველდღიური კონტროლი. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია აანალიზებს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დავალებათა რეალიზაციას, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების სადღეღამისო მოცულობებს და ყველა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში ახორციელებს ოპერატიულ ღონისძიებებს.

სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ, რომ ისევე როგორც შარშან, ნელსაც რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება იანვარ-ოქტომბრის მაჩვენებლების მიხედვით და 1983 წლისა და საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის გეგმების უთუო შესრულების გათვალისწინებით.

უკვე დღეები გვაშორებს ვ. ი. ლენინის დაბადების 113. წლისთავისადმი მიძღვნილ „წითელ შაბათობას“, საქართველოს შრომელების მტკიცე გადაწყვეტილებაა ეს დღე გადააქციონ უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ.

ჩვენს სარედაქციო ფოსტაში სულ უფრო მეტი წერილები მოდის რესპუბლიკის სანარმოებიდან, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებიდან. მშრომელები გვანვდიან ცნობებს, რომ მზად არიან ახალ-ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ ლენინური შაბათობა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.

ვისი ბაღია უკეთესი?

ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის

...დილის ოპერატიულ თათბირზე გაირკვა, რომ წუხელ ერთი შესაწამლი აპარატი დაზიანებულიყო, მთავარმა აგრონომმა გ. დავითაშვილმა დააყენა წინადადება, რომ დაჩქარდეს საწამლი პრეპარატების შემოტანის ტემპი. საკითხები ასევე ოპერატიულად გადაწყდა. მოძრავმა საავარიო ბრიგადამ დილიდანვე წესრიგში მოიყვანა შესაწამლი აპარატი, ენტომოლოგმა უ. თვაურმა კი საჩქაროდ კაცი აფრინა „სოფლქიმიაში“.

ქიწნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა გორის რაიონში. მიღწეულმა წარმატებებმა შორს გაუთქვა სახელი აქაურ მეხილეებს. შარშან ქიწნისელებმა 2159 ტონა ხილი დაამზადეს, საგეგმოზე 360 ტონით მეტი, სამუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 114 ცენტერი შეადგინა, ცენტნერი ხილის თვითღირებულებამ — 19,1 მანეთი, საგეგმო 20,8 მანეთის მაგივრად. არადა, შარშანდელი წელი, კარგად გვახსოვს, დალხინებული წელი როდი იყო.

— ამის მიუხედავად, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა მ. ქობლიანიძემ, — კიდევ უფრო დაძაბული ვალდებულებანი ვიკისრეთ, გადავწყვიტეთ ვაწარმოოთ 2400 ტონა ხილი, ამასთან კვლავინდებურად შევამციროთ მისი თვითღირებულება.

დიდი ხილისათვის ლაშქრობა მეურნეობაში მოფიქრებული ნაბიჯებით დაიწყო. იანვარ-თებერვალში, თუმცა ამინდი გაუარესდა, ქიწნისელებმა აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს საჭირო სამუშაოები, მოიხმარა 268 ჰექტარი, შეიტანეს მინერალური სასუქები, გაირხლა ბაღები.

ახლა მიმდინარეობს მინერალური ზეთებით წამლობა. ათი შესაწამლი აპარატი დღეში საშუალოდ 40-42 ჰექტარ ხილის ბაღს წამლავს. ტრაქტორისტები და წამლის შემამზადებლები გ. ბესტავაშვილი, გ. დვალაძე, ვ. ბურდული, ზ. ხოხაშვილი და სხვები ნაყოფიერად და მონდომებით შრომობენ.

გუგუნებენ ტრაქტორები, ირწყვება ხილის ბაღები, მტკიცე საგარანტიო საფუძველი ეყრება ხუთწლედის მესამე წლის მოსავალს.

ხილის ბაღებს ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებს, პატარძლებივით კოხტაობენ ახალგაზრდა ხეები მოვლილ და ნაპატივებ ბაღებში.

— ვისი ბაღია უკეთესიო?! — კითხვაზე კითხვა შემაგება შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ახალგაზრდა ბრიგადირმა ჟუჟუნა მირაზანაშვილმა, — აბა, შეხედეთ, კაცის თვალი უკეთესს რას ნახავს!

გ. ვაშაკიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

შაბათობა გვიხმობს

საქმეს გამოაჩინა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა დიდი შთაგონებით დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, რომ 16 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

უშანგ ივანიშვილის, ავთანდილ დოლიძის ბრიგადებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წითელი შაბათობის დღეს მიიღონ ორმოცი ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ფოლადი.

საამქროს ყველა მშრომელი მზად არის დამკვრელურად გარჯით აღნიშნოს ლენინური კომუნისტური შაბათობა.

სურათზე (მარცხნიდან): მეფოლადის ქარგალი ავთანდილ ბარბაქაძე, მეფოლადეები ავთანდილ დოლიძე, უშანგ ივანიშვილი, მეფოლადის ქარგალი ფირუზ ლუარსაბოვი.

ბარდაბნის რაიონის სახალი სამგორის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში 310 ჰექტარზე მომყავთ კომბოსტო, ხახვი, პამიდორი, კიტრი, მწვანილი. წლეულს მიწათმოქმედები პირობას დებენ, რომ სახელმწიფოს მიჰყიდიან 2400 ტონა კომბოსტოს, 2200 ტონა პამიდორს — სულ 5900 ტონა ბოსტნეულს, გეგმით გათვალისწინებული 5500 ტონის ნაცვლად.

აპრილის ამ დღეებში მექანიზატორები რგავენ კომბოსტოს ჩითილებს, რომელიც დაიკავებს 140 ჰექტარს. მათ გადაწყვეტილი აქვთ დამკვრელურად იშრომონ 16 აპრილს — ლენინური შაბათობის დღეს.

სურათზე: ახალი სამგორის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში რგავენ კომბოსტოს ჩითილებს.

ვ. მორგუნოვის და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

შეჯიბრებას ახალი გაქანება ენიჭება

შრომითი მეტოქეობა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს თბილისისა და ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნების კოლექტივებს შორის იშვა, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მზადების დღეებში ახალ გაქანებას იძენს. მუშათა ინიციატივით ორი ქალაქის ელმავალმშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო ღრმავდება, თვისებრივად ახალ ფორმას იძენს.

საქინფორმი გთავაზობთ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნისა და ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნის მოწინავე მუშათა დიალოგს წერილებით.

დაე, საქმიანი გაანწყობილება ამშვენებდეს

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირის გ. გოგოლაძის ღია წერილი ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ე. ტუმანოვს.

ძვირფასო ევგენი ნიკოლოზის ძეო!

მოგმართავთ პირადად და ქარხნის მთელი კოლექტივის, აგრეთვე ჩემი ბრიგადის — სოციალისტურ შეჯიბრებაში თქვენი მეტოქის სახელით და დავალებით. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, მივულოცო ყველა ჩვენს ნოვოჩერკასკელ კოლეგას ღირსშესანიშნაავ მოვლენა, რომელიც ახლახან აღნიშნეთ — ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარკიანი მეათითასეე ელმავლის გამოშვება. გვახარეს თქვენი ეს წარმატება — ჩვენი მეგობრების წარმატება.

ჩვენი მეტოქეობა ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა კოლექტივებთან საბჭოთა საქართველოს შრომითი კოლექტივების მეგობრობის მაგალითია.

ჩვენ, თბილისელი ელმავალმშენებლები, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელი მიღწევები, თქვენი — ჩვენი საიმედო პარტნიორების დამსახურებაკ არის. ისინი უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ გვქონდეს მჭიდრო კონტაქტები, არ ვეხმარებოდეთ ერთმანეთს, არ ვუზიარებდეთ გამოცდილებას. ჩვენი ქარხნის დაბადების დღიდანვე ნოვოჩერკასკიდან ვიღებთ საეკიპაჟო ნაწილებს საქართველოს დედაქალაქში დამზადებული მგზავრული ელმავლებისათვის. ახლა თქვენი სპეციალისტები გვეხმარებიან ჩვენს ქარხანაში მათი წარმოების მოგვარებაში. და ამ მლშაობამ უკვე გამოიღო ნაყოფი: იანვრიდან პროდუქციას იძლევა საურიკო საამქრო. წლის დამლევისათვის კი ავითვისებთ ძარების წარმოებასაც. ამ მიზნით ორი თვის მანძილზე მე და ჩემი ამხანაგები კვალიფიკაციას თქვენთან ვიმაღლებდით. ამრიგად, ჩვენმა ურთიერთობამ თვისებრივად ახალი ფორმა შეიძინა — უკვე კადრიც მზადდება.

ჩვენს კოლექტივებს ბევრი რამ აკავშირებთ ეროვნებათან. ჩვენთან მიმდინარეობს მზადება თითქმის ათი ათასი კილოვატი სიმძლავრის „ვლ-15“ ორსექციანი თორმეტღერძიანი ლოკომოტივის შექმნისათვის, თქვენთან — ბაიკალ-ამურის მაგისტრალისათვის მგზავრულური გოლოათის შექმნისათვის. ჩვენთან მიმდინარეობს საწარმოს ძირეული რეკონსტრუქცია — თქვენთანაც ასეა...

მალე ვიზეიმებთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ეს დღესასწაული მკაფიო ფურცელია რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში. მოწმობს ჩვენი კავშირის, დროით, ბრძოლით, ალმშენებლობით ნაცადი კავშირის სიმტკიცეს.

საბჭოეთში ასეა მიღებული, რომ იუბილეების აღნიშვნის საუკეთესო ხერხად მიგვაჩნია ღონისძიებათა თავმოყრა საარსებო პრობლემათა გადასაწყვეტად. ისინი კი არცთუ ცოტაა.

წარმატებით შეავსრულეთ იანვრის პროგრამა, თებერვალში კი მუშაობის რიტმი დაირღვა: დაგვაკლდა ლოკომოტივების საეკიპაჟო ნაწილები.

ჩინებულად გვახსოვს, როგორ ცდილობდით, არ დაგეღალატებინეთ ჩვენ, მომიჯნავენი, და საფუძული წლის დეკემბერში შეასრულეთ მიწოდების გეგმა თქვენდა საბედნიეროდ. კი. მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ შეჯიბრების მონაწილე კოლეგების ინტერესები საკუთარზე უფრო მაღლა დააყენეთ. თანაც ერთგვარად უზერხულადაც ვგრძნობთ თავს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ყოველმა ჩვენგანმა უფრო მეტად უნდა იზრუნოს საერთო წარმატებისათვის.

ვიცით, რომ თქვენი ბრიგადა გრაფიკის გასწრებით მუშაობს, მან პირობა დადო ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულოს. მაგრამ. აი, რა მინდა გითხრათ. ერთი კაცი, და თუნდაც ერთი ბრიგადა, ვერ გადაწყვეტს ქარხნის მთელი კოლექტივის საქმის წარმატებას. ყველა ქვეგანაყოფი შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს. მაღალი დისციპლინა, მათ შორის სახელშეკრულებო მიწოდებების დისციპლინაც — უწინარეს ყოვლისა, ეს არის მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი. თუ სათანადო დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა არ გვექნა, სწრაფად ვერ ვივლით წინ, აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე.

მიწოდების რიტმულობის ჩვენთვის მტკივნეულ საკითხს, რა თქმა უნდა, „ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო, მთავარი სამმართველო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანრები, ჩვენი საწარმოების ხელმძღვანელები. მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია ჩვენზეც, მუშებზეც. ჩვენ ხომ მართო ბრიგადული გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის როდი ვგებით პასუხს. პასუხს უნდა ვაგებდეთ მთელი ჩვენი კოლექტივის საქმეებისათვის, მოიჯნავეთა საქმეებისათვის.

ამიტომაც წინადადებით მოგმართავთ თქვენ, მეგობარსა და მეტოქეს — კოლექტივში გამოიჩინოთ ინიციატივა მიწოდების დავალებათა შესრულებისადმი კაცური მუშური კონტროლის მოძრაობის გაშლისათვის. საქმე ქარხნის შესაბამისი სამსახურების მაგრეობის გაწევის როდი ეხება. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ სახელშეკრულებო მიწოდებ ი თ გათვალისწინებული ნაწარმის დამზადების მთელ გზაზე არსებობდეს გამჭოლი კონტროლი არა მარტო ამ პროდუქციის ხარისხისადმი, არამედ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, შეკვეთის შესრულების ვადის დაცვისადმიც. მიზანშეწონლოდ მიმაჩნია მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვთქვათ ასეთი დევიზით: „**სახელშეკრულებო მიწოდებებს — მწვანე შუქი!**“ დაე, სახელშეკრულებო მიწოდებათა შესრულებისათვის ზრუნვა განსაკუთრებულ სტრიქონად შევიდეს ჩვენს შრომითი მეტოქეობის ხელშეკრულებაში, როგორც დადებულია არა მარტო ჩვენს ბრიგადებს, არამედ ჩვენი საწარმოების კოლექტივებს შორისაც, დაე, ის კეთილი, რასაც გავაკეთებთ. მომიჯნავის რიტმული მუშაობისათვის, წასალისებულ იქნეს შედეგების შეჯამების დროს.

ვფიქრობ, ჩემს წინადადებას მოიწონებთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ისევე როგორც მე, იცით, ვის დაეყრდნო ამ თაოსნობაში— კომუნისტებს, თქვენს თანამოსაქმე ამხანაგებს.

წელს და მთლიანად ხუთწლედში ჩვენ წინაშე რთული ამოცანებია დასახული, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მაღალ სამუშაო მიჯნებს, ამ გზაზე განსაკუთრებით საჭიროა ვარჩინობდეთ მეგობრის მხარს, კოლეგების დახმარებასა და მხარდაჭერას, თქვენ ეს კარგად იცით. გამოთქვამ იმედს, რომ საერთო მეცადინეობით საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ ჩვენი კოლექტივების დამაკავშირებელი მეგობრობა, რომელმაც ერთობლივი მუშაობით გაიარა გამოცდა, ხელს შეუწყობს ახალი საწარმოო წარმატებების მიღწევას სამშობლოს განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ლაშქრობას, წარმატებებს მუშაობასა და ცხოვრებაში, თქვენი

გრიგოლ გოგოლაძე.

სახელშეკრულებო მიწოდებებს — მწვანე შუქი! —

მცარს ვუჭერთ ამ მოწოდებას

ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ე. ტუმანოვის სიტყვიერი წერილი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირს გ. გოგოლაძეს.

ძვირფასო გრიგოლ ივანეს ძეო!

დიდ მუშურ მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომელიც ჩვენთან შეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადისა და მთელი ქარხნის სახელით გამოგიგზავნეთ. მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ნოვოჩერკასკელ ელმავალმშენებელთა — მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მეცნიერთა მრავალათასიანი კოლექტივის შრომას მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა ამხანაგებმა ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარკიანი მეათითასეე ელმავლის გამოშვების გამო. დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიჯნას უახლოეს მომავალში თბილისელი ელმავალმშენებლებიც მიაღწევენ.

საკუთარი სწორი ბრძანებებით, როცა წერილში წერთ, რომ ჩვენი მეგობრობა დროით არის შემოწმებული ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა თავდადებული, უანგარო ურთიერთდახმარების „ცრავალი მაგალითით. და მოახლოებული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დათვალიერება გახდა.

ყველა ჩემი თანაბრიგადელი და თანაქარხნელი ამხანაგი მთლიანად გეთანხმებათ იმაში, რომ იუბილეს შეხვედრა ჯობს კონკრეტული საქმეებით. ჩვენი კოლექტივების წინაშე დასახული საარსებო პრობლემების გადაწყვეტით. ჩვენ და თქვენ დღესასწაულს მნიშვნელოვან მუშურ სიხარულს ვუფაბადებთ: ორივე კოლექტივმა პირობა დადო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად დაზოგილი მასალებით გამოუშვას თითო საიუბილეო ელმავალი წარწერით: „რუსეთ-საქართველო-200“.

მაგრამ მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყოველნაირად განვამტკიცოთ შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა, ავამაღლოთ თითოეულის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ამას მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მითითებანი.

გულგრილი არავინ არ დაუტოვებია თქვენს შეშფოთებას იმის გამო, რომ სახელშეკრულებო მიწოდებათა დარღვევის გამო არ სრულდება პროდუქციის წარმოების გრაფიკი. მხედველობაში მყავს არა მარტო ჩვენი კოლექტივი, არამედ სხვა მომიჯნავე საწარმოების შშრომელებიც, სავსებით გეთანხმებით, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჩაფუშვა უდიდეს სიძნელეებს უქმნის დავალებათა რიტმულ შესრულებას.

განვიხილეთ რა თქვენი წერილი ბრიგადასა და ქარხნის სხვა საწარმოო ქვეგანაყოფების კოლექტივებში, გადავწყვიტეთ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება თქვენ მიერ შემოთავაზებული დევიზით: „სახელშეკრულებო მიწოდებებს — მწვანე შუქი!“.

ნოვოჩერკასკელი ელმავალმშენებლები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ მიმდინარე წელს უთუოდ შესრულდება სოციალისტურ ვალდებულებათა პუნქტი, რომლის საფუძველზე თბილისელ კოლეგებს ყოველთვიურად ვადამდე უნდა მივაწოდოთ კვანძები და დეტალები ურთიერთკოოპერაციული მიწოდებების მიხედვით. დარწმუნებული ვართ, რომ ხუთწლედის შუაგულ წელს თქვენს საწარმოში დაიწყება მაგისტრალური ელმავლების საეკიპაჟო ნაწილების გამოშვებას.

რა თქმა უნდა, ახალ სიმძლავრეთა ათვისება ძნელი საქმეა, რომელიც უნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ბევრ ძალ-ღონეს მოითხოვს. ამიტომ ჩვენი ელმავალმშენებლები ყოველნაირად დაეხმარებიან ქართველ მეგობრებს მეჩარხეთა, ამწყობ ზეინკალთა, ურიკების ჩარჩოებისა და მათი დეტალების აწყობის, შედუღებისა და მექანიკური დამუშავების სპეციალისტთა მომზადებაში.

თქვენი მოწოდების პასუხად ყველგან ვაწყობთ ქმედითს საგუშაგოებს ურთიერთმიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისადმი კონტროლისათვის, ამ მუშაობაში ვაბამთ ყველაზე ავტორიტეტიან მშრომელებს, სპეციალისტებს, აგრეთვე სახალხო კონტროლიორებსა და კომკავშირულ „პროექტორისტებს“.

მიმდინარე წლის აპრილში სრულდება 60 წელი მის შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინი, რომლის სახელობისაც არის თქვენი საწარმო, და რომელსაც ეკუთვნის აზრი დღესასწაულთა კონკრეტული საქმეებით აღინიშნის შესახებ, არჩიეული იყო გაზეთ „ტრუდოვოი დონის“ — „ახლა ჩვენი საოლქო გაზეთის „მოლოტის“ საპატიო მუშაკად. საქართველო მრავალტრიალიანი გაზეთის, საქალაქო გაზეთი „ზნამია კომუნას“ მუშაკორები, რომელთა შორის მეც ვარ, თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარებენ შეჯიბრების მიმდინარეობის, რომელიც გაიშლება დევიზით: „სახელშეკრულებო მიწოდებებს — მწვანე შუქი!“.

მოკლედ გაგაცნობთ ჩვენს კოლექტივში საქმის ვითარებას, ნაკისრ ვალდებულებას, რომ ხუთწლეანი დავალება გავანაღოდოთ ოთხ წელიწადში, ვასრულებთ. ამჟამად ბრიგადა უკვე მიმდინარე წლის აგვისტოს ანგარიშში მუშაობს. სიამოვნებით გაუწყებდ, რომ ნოვოჩერკასკელმა ელმავალმშენებლებმა დაიწყეს „ვლ-85“ პირველი საცდელი ელმავლის სექციების აწყობა, რომლის საფუძველზეც მოგვარდება ლოკომოტივების სერიული გამოშვება ბაიკალ-ამურის მაგისტრალისათვის. ახლა ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა 1 მაისისათვის ახალი სერიის ჩვენი პირმშო მზად იყოს.

დასასრულ გამოვთქვამ ჩემი ყველა ამხანაგის მტკიცე რწმენას, რომ საქართველოსა და რუსეთის ხალხთა მეგობრობა, ჩვენი შრომითი კოლექტივების მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება.

გისურვებთ ჯანრთელობას, ბედნიერებას, ახალ შრომითს გამარჯვებებს.

თქვენი ევგენი ტუმანოვი.

სსრ კავშირის კანონი

შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ

პროექტი

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია. სსრ კავშირში შრომითი კოლექტივების საქმიანობას საფუძველად უდევს წარმოების სამუალებათა სოციალისტური საკუთრება და ეკონომიკის გეგმიანი განვითარება. შრომითს კოლექტივებში ერთობლივი შრომა ხორციელდება ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე, უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობა, მკვიდრდება კოლექტივის წინაშე თითოეულისა და თითოეული მუშაკისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის პრინციპი. შრომითი კოლექტივები უნდა ამრავლებდნენ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეებს, რაციონალურად იყენებდნენ არსებულ რესურსებს, დაუცხრომლად ზრუნავდნენ კოლექტივის წევრებისათვის, მათი შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მაღლდება შრომითი კოლექტივების როლი საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში, ფართოვდება საწარმოთა, დაწ

 პროექტი

სსრ კავშირის კანონი

შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ

(დასასრული)

მიკური და სოციალური განვითარების წინადადებანი.

შრომითი კოლექტივების აზრსა და წინადადებებს ითვალისწინებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები იმ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რომლებიც შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობას ეხება. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები შრომითს კოლექტივებს აწვდიან ინფორმაციას თავიანთი მუშაობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

მუხლი 3. შრომითი კოლექტივების ძირითადი უფლებამოსილებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში

შრომითი კოლექტივები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად:

განიხილავენ კანონთა პროექტებსა და განსახილველად გამოტანილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს და მათ გამო წარადგენენ თავიანთ წინადადებებს;

ასახელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებისა და შრომითი კოლექტივის მიერ დასახელებული სხვა პირეული პირების ანგარიშებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშებს;

ასახელებენ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს, ირჩევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებსა და ისმენენ მათს ანგარიშებს;

განიხილავენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს.

მუხლი 4. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის პრინციპები

შრომითი კოლექტივები საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, მართვაში მონაწილეობენ იმ საფუძველზე, რომ:

ჰარმონიულად უხამებენ ერთმანეთს სახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესებს;

უხამებენ ერთმანეთს ერთმმართველობასა და მშრომელთა ფართო მონაწილეობას საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში;

უზრუნველყოფენ შრომითი კოლექტივის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანობას;

განუხრელად იცავენ შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტურ კანონიერებას, იცავენ კოლექტივის თითოეული წევრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ყოველნაირად ავითარებენ კოლექტივის წევრთა შრომითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობასა და შემოქმედებითს ინიციატივას, უზრუნველყოფენ მათს მონაწილეობას შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელებაში;

კოლექტიურად განიხილავენ და წყვეტენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებს;

ავითარებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყოველმხრივ აფასებენ თანამედგომების პირთა და კოლექტივის სხვა წევრთა საქმიანობას, ამაღლებენ კოლექტივის წევრთა პასუხისმგებლობას მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის;

უზრუნველყოფენ საჯაროობას, კოლექტივის წევრთა სისტემატიურ ინფორმირებას საწარმოთა, დაწესებულებათა. ორგანიზაციათა საქმიანობის შესახებ, ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

მუხლი 5. კანონმდებლობა შრომითი კოლექტივების შესახებ

კანონმდებლობა შრომითი კოლექტივების შესახებ შედგება ამ კანონისაგან, აგრეთვე სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისა და მათ შესაბამისად შრომითი კოლექტივების საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოცემული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტებისაგან.

II. შრომითი კოლექტივების ძირითადი უფლებამოსილებანი საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში

მუხლი 6. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვაში

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების (სამუშაოს გეგმების) პროექტების შემუშავებასა და განხილვაში. აღნიშნული გეგმების პროექტებს დასამტკიცებლად წარადგენენ შრომითი კოლექტივების მიერ მათი განხილვის შემდეგ;

ამუშავებენ და იღებენ შემხვედრ გეგმებს;

ახორციელებენ გეგმების შესრულების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

ამტკიცებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს;

ისმენენ ადმინისტრაციის ანგარიშებსა და პროფკავშირული კომიტეტის წარმომადგენლის ანგარიშებს ამ ნაწილში;

ასახელებენ ადმინისტრაციის ანგარიშს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ინიციატივის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმების შესრულებას, იძლევიან შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 11. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების დარგში

შრომითი კოლექტივები:

სახავენ და ახორციელებენ შრომის ორგანიზაციის ან პროგრესული ფორმების დანერგვის ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს მისი ნაყოფიერების გადიდებას, დადგენილი გეგმების შესრულებას პერსონალის ნაკლები რიცხვით, შრომის პირობების გაუმჯობესებას;

მონაწილეობენ წინადადებათა შემუშავებაში, რომელთა მიზანია შრომითი დანახარჯების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენების გაფართოება;

შეაქვთ წინადადებანი, რომ დაიხვეწოს შრომის ანაზღაურება, თითოეული მუშაკის ხელფასი შეესაბამებოდეს პირად შრომითს წვლილს და რომ გაძლიერდეს მისი დამოკიდებულება კოლექტივის მუშაობის საბოლოო შედეგებზე;

განიხილავენ და იწონებენ წინადადებებს მუშაკთა პრემირების სრულყოფისა და მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სხვა მისაცემლებისა და შეღავათების მიცემის შესახებ;

ახორციელებენ კონტროლს შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების მოქმედი პირობების გამოყენებისადმი;

განიხილავენ კომკავშირულ ორგანიზაციათა წინადადებებს კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების შექმნის შესახებ და შეაქვთ თავიანთი რეკომენდაციები.

მუხლი 12. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი მუშაკთა შრომითი აქტიურობის განვითარებასა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში

შრომითი კოლექტივები:

ყოველნაირად ამაღლებენ კოლექტივების წევრთა შრომითს აქტიურობას, ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას;

ამტკიცებენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების პირობებს;

კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს და ახორციელებენ მათი შესრულების ღონისძიებებს; აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და განსაზღვრავენ მის გამარჯვებულებს;

მონაწილეობენ მოწონავე გამოცდილების გავრცელებისა და ღონიერგვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

დებენ ხელშეკრულებებს სხვა შრომითს კოლექტივებთან სოციალისტური შეჯიბრების შესახებ;

ისმენენ ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ინფორმაციებს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, და იძლევიან შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 13. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი კადრების მომზადებაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და განაწილებაში

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ კადრების მომზადების, განაწილებისა და რაციონალური გამოყენების, კოლექტივების სტაბილურობის უზრუნველყოფის, მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში;

განიხილავენ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მუშებისათვის ახალი პროფესიების სწავლების, დამრიგებლობის განვითარების, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლების მუშაობის საკითხებს;

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წაშვებით სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობაზე დანიშვნის საკითხების გადაწყვეტაში; თანამდებობაზე ამ მუშაკთა დანიშვნა ხდება შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით;

განიხილავენ ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების, კოლექტივში მისი დამკვიდრების საკითხებს და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

ამტკიცებენ წარმოების მოწინავეთა კანდიდატურებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლებლად გაგზავნისათვის, რომლებსაც დაენიშნებათ სტიპენდიები საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხარჯზე.

მუხლი 14. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაში

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, წარმოების განვითარების ფონდის სახსრების გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში, განიხილავენ და იწონებენ ამ ფონდების ხარჯვის ხარჯთაღრიცხვებს, კონტროლს უწევენ მათს შესრულებას. საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნილი მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, არ შეიძლება ამოღებულ იქნეს შრომითს კოლექტივთან შეუთანხმებლად;

მონაწილეობენ მატერიალური წახალისების ფონდისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე დადგენილი წესით კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში მუშაკებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საკითხების გადაწყვეტაში; ამტკიცებენ მუშაკთა კანდიდატურებს, რომლებსაც შეიძლება მიეკვეთ აღნიშნული მატერიალური დახმარება.

მუხლი 15. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესებაში

შრომითი კოლექტივები:

განიხილავენ და იწონებენ შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კომპლექსურ გეგმებს და კონტროლს უწევენ ამ გეგმების შესრულებას;

შეაქვთ წინადადებანი წარმოების ტექნიკური განახლების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ორგანიზაციის გაუმჯობესების, ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის შემცირების ღონისძიებათა შესახებ;

კონტროლს უწევენ შრომის დაცვისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოყენებას და ყველა მუშაკის მიერ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შრომის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების შესრულებას; საჭიროების შემთხვევაში სვამენ საკითხებს, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროთ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შრომის დაცვის წესების დარღვევაში;

განიხილავენ სოციალური დაზღვევის საშუალებათა გამოყენების საკითხებს და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

შეაქვთ წინადადებანი გარემოს დაცვის გაუმჯობესების საკითხებზე.

მუხლი 16. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი მუშაკთა სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში

შრომითი კოლექტივები:

განიხილავენ და იწონებენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის გეგმებს, ისმენენ ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ;

მონაწილეობენ იმ პირთა აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, რომლებსაც სჭირდებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება, და შეაქვთ შესაბამისი რეკომენდაციები; უზრუნველყოფენ საჯაროობას ბინების განაწილებაში;

იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ აააშენონ საცხოვრებელი სახლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის, ფართო მოხმარების ფონდისა და სხვა ფონდების იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია ამ მიზნებისათვის. აღნიშნული ფონდების ხარჯზე აშენებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობი არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზაციებს ან გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისათვის შრომითს კოლექტივთან შეუთანხმებლად;

შეაქვთ წინადადებანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნის შესახებ;

განიხილავენ კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობას;

ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობისადმი;

მონაწილეობენ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციისა და საქმიანობის, კოლექტიური შენაღებობისა და მებოსტნეობის, პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში;

მონაწილეობენ კოლექტივის წევრებისა და მათი ოჯახების დასვენების მოწყობის საკითხთა გადაწყვეტაში; განიხილავენ გამაჯანსაღებელი, ბავშვთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კოლექტივების წევრებისა და მათი ოჯახის მომსახურე სპორტული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობას და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

ზრუნავენ პენსიონერებისათვის — შრომითი კოლექტივების ყოფილი წევრებისათვის, ხელს უწყობენ მათს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში, ახალგაზრდობის აღზრდაში.

მუხლი 17. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი კომუნისტური აღზრდის მუშაობის ორგანიზაციაში

შრომითი კოლექტივები:

ახორციელებენ კოლექტივის წევრთა კომპლექსური იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის, კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის უზრუნველყოფის, ისეთი პირობების შექმნის ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ოჯახის განმტკიცებასა და ბავშვთა აღზრდის გაუჯობესებას, ყოფა-ცხოვრებაში კომუნისტური ზნეობის ნორმების დამკვიდრებას.

იწონებენ „კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გეგმებს;

ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა კოლექტივის წევრები აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, გამომძალველობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით;

მონაწილეობენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში, ახორციელებენ სამართალდამრღვევ პირთა ხელახალი აღზრდის ღონისძიებებს.

მუხლი 18. საწარმოო პრაგიდის კოლექტივის ძირითადი უფლებამოსილებანი

საწარმოო ბრიგადის — საწარმოს, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივის პირველადი რგოლის კოლექტივის უფლებამოსილებანი განისაზღვრება ბრიგადის შესახებ ამ კანონის დებულების შესაბამისად.

საწარმოო ბრიგადის კოლექტივი:

III. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებათა განხორციელება

მუხლი 19. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილების განხორციელების ფორმები

შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებებს ახორციელებენ უშუალოდ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები).

კრებებს შორის პერიოდში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი ხორციელდება:

ადმინისტრაციასთან და პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩეულთა ორგანოებთან ერთად;

პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებთან, შრომითს კოლექტივებში მოქმედ სხვა არჩეულთა ორგანოებთან ერთად მათი წესდებებისა და მათ შესახებ დებულებათა, საბჭოთა კანონების შესაბამისად;

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციასთან ერთად მისი უფლებამოსილებების შესაბამისად, ან შრომითი კოლექტივების დავალებით.

მუხლი 20. შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები)

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები) განიხილავენ შრომითი კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

შრომითი კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადმინისტრაცია. საკითხები შრომითი კოლექტივების კრებების (კონფერენციების) განსახილველად შეაქვთ პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადმინისტრაციის, სახალხო კონტროლის ორგანოების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, კოლექტივების ცალკეულ წევრთა ინიციატივით, აგრეთვე ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ინიციატივით.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების კრებები (კონფერენციები) იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ. კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ შრომითი კოლექტივის მიერ განსაზღვრული ნორმებითა და წესით.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების კრებებზე (კონფერენციებზე) ხდება ანგარიშგება ადმინისტრაციის, ადმინისტრაციასთან ერთად მისი უფლებამოსილებების შესაბამისად, ან შრომითი კოლექტივების დავალებით.

მუხლი 21. შრომითი კოლექტივების კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებანი

შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი მიიღება კრებაზე (კონფერენციაზე) მყოფ კოლექტივის წევრთა ხმის დიდი უმრავლესობით ღია კენჭისყრით. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საამქროებსა და სხვა ქვეგანყოფილებებში შრომითი კოლექტივის კრების მოწყობისას გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრებაზე მყოფი შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა.

შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მისი უფლებამოსილებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა კოლექტივის წევრებისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის.

კონტროლს შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილების შესრულებისადმი ახორციელებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული კომიტეტი, აგრეთვე ადმინისტრაცია მისი უფლებამოსილების შესაბამისად, ან კრების (კონფერენციის) დავალებით.

შრომითი კოლექტივების წინადადებანი და რეკომენდაციები ერთი თვის განმავლობაში უნდა განიხილონ ადმინისტრაციამ. პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა. წინადადებათა და რეკომენდაციათა განხილვის შედეგებს ადმინისტრაცია, აღნიშნული ორგანიზაციები და ორგანოები აცნობებენ შრომითს კოლექტივს.

მუხლი 22. ამ კანონის მოქმედება

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, შრომითს კოლექტივებზე, აგრეთვე მათი საამქროების, განყოფილებებისა და სხვა ქვეგანყოფილებების კოლექტივებზე მათი კომპეტენციის ფარგლებში.

კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითს კოლექტივებზე ეს კანონი გამოიყენება მათი საქმიანობის მარეგულირებელ შესაბამის წესდებათა და დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 23. ამ კანონის გამოყენების თავისებურებანი

ამ კანონის დებულებათა გამოყენების თავისებურებანი სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში მათი სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებებით.

კოსმოსი — დედამიწასა და მშვიდობას

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მკაფიო დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის წარმატებები მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების დარგში. როგორც შრომისა და დიდების ღირსშესანიშნავ დღესასწაულს, ისე ხვდებიან საბჭოთა ადამიანები კოსმონავტიკის დღეს. ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში მოვიდნენ მეცნიერები, კონსტრუქტორები, კოსმონავტები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ო. გ. გაზენკომ. 1961 წლის 12 აპრილს, თქვა მან, მსოფლიომ შეიტყო იური გაგარინის — საბჭოთა ადამიანის სახელი, რომელმაც გაიყვანა პირველი ტრასა კოსმოსურ ორბიტებზე და დედამიწის ყველა ადამიანს გაუხსნა გზა ვარსკვლავებისაკენ. ხომალდი „ვოსტოკი“ იური გაგარინის 108 ვარსკვლავური წუთიდან „სალუტ“-„სოიუზ“-„პროგრეს“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივ ექსპედიციებამდე — ასეთია შთამბეჭდავი დისტანცია, რომელიც საბჭოთა კოსმონავტიკამ განვლო. ამ გზაზე მკაფიო ნიშანსვეტი გახდა 1982 წლის დეკემბერში დამთავრებული ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი 211-დღიანი ფრენა სადგურით „სალუტ-7“, რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ ა. ბერეზოვი და ვ. ლებედევი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოსმოსურ გამოკვლევებს დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლაში, ქვეყნის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის ფართო წრის ამოცანათა გადაწყვეტაში, წარმატებით განხორციელებული ხანგრძლივი ფრენები მოწმობს, რომ საბჭოთა სპეციალისტების მიერ არჩეული სტრატეგია, რომელიც

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

• •

ითვალისწინებს კოსმოსში ადამიანის ყოფნის დროის თანდათანობით თანამიმდევრულ გადიდებას, საგსებით ამართლებს თავის დანიშნულებას და საშუალებას აძლევს მას კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდოს ფეხი კოსმოსურ სივრცეში.

საბჭოთა კოსმონავტიკის წარმატება მილიონობით ადამიანის შრომით არის მოპოვებული, თქვა დასასრულ მეცნიერმა. მთელი ქვეყანა მონაწილეობდა კოსმოსური მიღწევების მოპოვებაში და ამაყობს ამ მიღწევებით. საბჭოთა მეცნიერები და კონსტრუქტორები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ძირითად ყურადღებას მიაპყრობენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეც ყოველდღიურად ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაჩქარებული განვითარება.

მეცნიერებსა და კოსმონავტებს, მუშებსა და ინჟინრებს დედაქალაქის მშრომელთა სახელით კოსმონავტიკის დღე მიულოცა მოსკოვის მანქანათსაშენებელი ქარხნის მღარავმა ლ. ა. ანდრეევმა.

კოსმონავტიკის ახალნაღები დღე აღინიშნება საყოველთაო-სახალხო შრომითი და პოლიტიკური ალმავლობის ვითარებაში. ჩემთვის, მუშაკაცისათვის ახლობელი და გასაგებია ის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებსაც პარტია გვისახავს ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. მოსკოველი ჩარხმშენებლების წინაშე ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა, მისი ამასწინანდელი პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკაში მთავარია ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის,

ხალხის სამსახურისათვის შეწირული სიცოცხლე

ნოხუმი, 12 აპრილი. (საქინფორმის კორ.). ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, პატივს სცემენ მგზნებარე რევოლუციონერის, აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ეფრემ ალექსის ძე ეშბას ხსოვნას, რომლის დაბადების 90 წლისთავი ფართოდ აღინიშნება ამ დღეებში.

აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო სხდომა, რომელიც პარტიის თვალსაჩინო მოღვაწისა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილის, მგზნებარე პატრიოტ-ინტერნაციონალისტის ეფრემ ეშბას იუბილეს მიეძღვნა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. კობახიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პირადი დიდი წვლილი მიუძღვის მტკიცე ლენინელ ბოლშევიკს აფხაზეთსა და მთელ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სიმაღლის პრეზიდიუმში აიჩრიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის ე. ა. ეშბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროს წევრის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი. აღნიშნა რა აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ე. ეშბას დამსახურება პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, მან, კერძოდ, თქვა:

ასეთ იუბილეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმიტომაც, რომ ვახორციელებთ რა სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს საქართველოს სს რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ, განგამტკიცებთ რა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, კვლავ და კვლავ მივმართავთ ჩვენი ბრი ნწინამორბედების სახელოვან მაგალითს, ამ მაგალითით ვამოწმებთ ჩვენ საქმეებსა და ფიქრებს, ამ მაგალითით ვზრდით ახალგაზრდობას.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებით, ყოველივე იმით, რასაც ახორციელებს პარტია ყველა ერისა და ეროვნების შემდგომი აყვავებისათვის. სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ერთმანეთის მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ ოთხმეცი ერი-ვნების წარმომადგენლები, ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი მათი შეკავშირებისათვის, ერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებისა და პარტიის წინასწარდასახულობათა ხორციშესხმისათვის.

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხებისადმი მიძღვნილმა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად მთელი პარტიული აქტივი ეცნობოდა მატერიალური წარმოებისა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ შეძენილ გამოცდილებას. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა მეგობრებისათვის გასაზიარებელი, კერძოდ, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგშიც.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენ ფართოდ, საყოველთაოდ ვიდღესასწაულებთ გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს დღესასწაული, რომელიც მთელ ქვეყანაში გაიმართება, საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაცია იქნება.

ე. ეშბას დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა ნოხუმში

• •

ერთაშორისი ურთიერთობის განვითარებაში, კულტურების ურთიერთგამდიდრებაში საგულისხმო უკანასკნელ დროს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებანი. ეს არის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნაც, რესპუბლიკური ინსტიტუტების ბაზაზე აფხაზეთის სამეცნიერო კადრების მომზადებაც, ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ხელოვნებათმცოდნეობის დარგში აფხაზ და ქართველ მეცნიერთა ერთობლივი მეცნიერული კვლევაც, აფხაზეთის სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებაც, მათ შორის რესპუბლიკის წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა შეფობის ფარგლებში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1978-1982 წლებში აფხაზეთისათვის გამოიყო შვიდასამდე ადგილი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე მიღებისათვის, და 130-ზე მეტი კონკურსგარეშე ადგილი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად.

ოქტომბერი
შეკვეთები მოვლენები
საკლასო იუფყება

საბჭოთა კავშირ-ბელგიის მოლაპარაკება

11 აპრილს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ბელგიის საგარეო ურთიერთობის მინისტრთან ლ. ტინდემანსთან, რომელიც მოსკოვში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც საქმის და გულახდილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ბელგიის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე.

ორივე მხარისათვის საინტერესო მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს სერიოზული შემფოთება გამოითქვა მსოფლიოში ვითარების სამში გართულების გამო და ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველა სახელმწიფომ, როგორც დიდმა, ისე პატარამ, ენერგიული ღონისძიებანი განახორციელოს, რათა არ დაუშვას ომი, გაბმატკიცოს მშვიდობა და უშიშროება, თავიდან აიცილოს გამლეებული შეიარაღების ახალი გაძლიერება.

საბჭოთა მხარემ განმარტა იმ წინადადებათა არსი, რომლებსაც შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური დეკლარაცია. ამასთან მთავარი ყურადღება მიაპყრო წინადადებას, რომ სახელშეკრულება-სამართლებრივ აქტში აისახოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ნატოს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულება ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენონ სამხედრო ძალა და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობა. ბელგიამი, განაცხადა ლ. ტინდენმანსმა, ამ წინადადებებს გულდასმით სწავლობენ.

მოლაპარაკების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას. ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევნევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე შესაბამის მორიგებათა მიღწევას ევროპაში და მთლიანად მსოფლიოში მდგომარეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ამ კონტექსტით მან ყურადღება მიაპყრო წინადადებებს, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, და რომლებიც გზას უხსნიან საბრთლიან საფუძველზე, ვისმე უშიშროებისადმი ზიანის მიუყენებლად ევროპის კონტინენტზე ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემის გადაწყვეტას.

ამასთან ერთად საბჭოთა მხარემ კვლავ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ყენევის მოლაპარაკებაზე მიზნად არ ისახავს მორიგების მიღწევას. ითვალისწინებს დაარღვიოს ძალთა თანაფარდობა ევროპაში და გლობალური მასშტაბით, რაც აშკარად მიუღებელია სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის. ეს ეხება ეგრეთ წოდებულ „შუალედურ ვარიანტსაც“.

ა. ა. გრომიკომ იმედი გამოთქვა, რომ ამ პრობლემისადმი თავის მიდგომაში ბელგია იხელმძღვანელებს აწონ-დაწონილი შეფასებებით, ევროპის უშიშროების ფართო, გრძელვადიანი ინტერესებით და ამის საჭიროებით, რომ არ დაუშვან ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების გაძლიერება.

მინისტრებმა მხარი დაუჭირეს ჰელსინკში დაწყებული საერთო ევროპული პროცესის განგრძობას, აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მადრიდის შეხვედრის სწრაფ და წარმატებით დამთავრებას და ამ შეხვედრაზე შინაარსიანი და შეწონასწორებული საბოლოო დოკუმენტის მიღებას, რომლებიც შეიცავს გადაწყვეტილებას მოიწვიონ კონფერენცია ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ.

მინისტრებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მთლიანად სტაბილურია საბჭოთა კავშირ-ბელგიის ურთიერთობა. მათ დაადასტურეს, რომ მზად არიან შემდგომშიც განავითარონ ორივე ქვეყნის მთავრობის, პარლამენტების, საზოგადოებრიობის კონტაქტები, აგრეთვე გააფართოონ ორმხრივი ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, კულტურული და მეცნიერული კავშირი ბელგიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

* * *

ა. ა. გრომიკომ საუზმე გაუმართა ლ. ტინდემანსს, რომლის დროსაც მხარეებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

* * *

ნაშუადღევს საბჭოთა კავშირ-ბელგიის მოლაპარაკება დამთავრდა. (საკდესი).

ეროვნული ერთიანობისათვის

ი. განდის გამოსვლა

დელი. პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ინდოეთის საზოგადოებას მოუწოდა განამტკიცონ ეროვნული ერთიანობა. შტატების გუბერნატორთა აქ გამართული კონფერენციის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას მან ხაზგასმით თქვა, რომ გამთიშველი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობის, მთელი პატრიოტული ძალების, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს ასამისა და ფენჯაბის შტატების სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტად, სადაც უკანასკნელ ხანს მოხდა უწესრიგობანი. ბევრი რამ კეთდება მოსახლეობის ყველაზე უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენების ცხოვრების დონის ამაღლების, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს მოდის ცნობები, რომლებიც მოწმობს, რომ უწესრიგობა ამ ორ შტატში დაგეგმილი იყო საშინაო რეაქციის ძალები. გაუჰატიში პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ასამის მთავრობის მთავარმა მინისტრმა ჰიტეშვარ საიკიამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ექსტრემისტები წინასწარ ამზადებდნენ დივერსიულ აქციებს, ტერორისტულ გამოხდომებს, თავდასხმებს მშვიდობიანი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე. გარდა ამისა, თქვა მთავარმა მინისტრმა, არსებობს პირდაპირი კავშირი ასამელ ნაციონალისტებსა და შოვინისტურ ორგანიზაციია რაშტრია სვაიაკსევმაკ სანგჰს შორის, რომელიც ინდოეთის სხვადასხვა რაიონში მოქმედებს. ამ დაჯგუფების მდიდარი გამოცდილება აქვს მოღვაწეობისა, რომლის მიზანია საშინაო-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია.

ამჟამად აქ მიმდინარე პარლამენტის სესიაზე გამოსვლისას, ბევრმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ ექსტრემისტები დახმარებას იღებენ ზოგიერთი სახელმწიფოს სპეციალური სამსახურებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან ინდოეთის დასუსტებით და მისი გათიშვით.

● იორდანია

მოლაპარაკება დამთავრდა

ამანი. აქ გამოქვეყნდა იორდანიის მთავრობის კომუნიკე იორდანია-პალესტინის მოლაპარაკების შედეგებზე. მოლაპარაკება გაიმართა მეფე ჰუსეინსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატს შორის. კომუნიკეში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ იორდანია, რომელსაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად მიაჩნია, თვლის, რომ ამ ორგანიზაციამ და პალესტინის არაბმა ხალხმა თვითონ უნდა აირჩიონ საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლებისა და დასახული მიზნების მიღწევის გზები და საშუალებები. იორდანია, აღნიშნულია დოკუმენტში, წინანდებურად უარს ამბობს პალესტინელი ხალხის სახელით აწარმოოს მოლაპარაკება და სეპარატულად იმოქმედოს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების თაობაზე გამართულ ყოველგვარ მოლაპარაკებაში.

● ესპანეთი

საპროტესტო მარშ

ამბავს წინათ ესპანელ მშვიდობის მომხრეთა, მემარცხენე პარტიებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მრავალათასიანი კოლონები (სურათზე) მადრიდიდან ქალაქ ტორეხონ-დე-არდოსაკენ გაემართნენ, რომლის გარეუბანში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა მდებარეობს.

ნატოს ხაფინაალმდეგო ეროვნული კომიტეტის ინიციატივით მოწყობილი მარშის მონაწილეებმა მოითხოვეს ნატოდან ესპანეთის გამოსვლა, ესპანეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების მოსპობა, სამხედრო ხარჯების შემცირება, მტკიცედ გაილაშქრეს ევროპის კონტინენტზე ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ.

მარშში მონაწილეობდნენ აგრეთვე შვეიცის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ისლანდიის სამშვიდობო მოძრაობის წარმომადგენლები.

იუპი-საკდესის ფოტო.

მოკლედ
ტელეტაიპის ლენტიდან

რევოლუციის დასაცავად

აკრა. განაში კვლავ იქმნება თავდაცვის სახალხო კომიტეტები, რომელთა საქმიანობასაც თავდაცვის ეროვნული კომიტეტები წარმართავენ.

განის ეროვნული თავდაცვის დროებითი საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ კომიტეტების წევრები შეიძლება იყვნენ ისინი, ვინც მზად არის მხარი დაუჭიროს და დაიცვას განის რევოლუციის ძირითადი მიზნები. ეს ღონისძიება იმის პასუხად ნორციელდება, რომ დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა, უწინარეს ყოველისა კი ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გააააქტიურეს ძირგამომთხრელი მოქმედება ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

არჩევნები გრენლანდიაში

კოპენჰაგენი. დანიის შემადგენლობაში შემავალ მსოფლიოს უდიდეს კუნძულზე — გრენლანდიაში მიმდინარეობს ლანდსტინგის — ეროვნული პარლამენტის არჩევნები.

არჩევნებისწინა კამპანიის დროს ძირითადად ყურადღება ეთმობოდა „საერთო ბაზრიდან“ გრენლანდიის გამოსვლასთან, აგრეთვე კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებს. შარშან თებერვლში გრენლანდიის მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ქვეყნის შემდგომი მონაწილეობის წინააღმდეგ.

დაუთმეს ვაშინგტონს

ოტავა. კანადამ კიდევ ერთხელ დაუთმო ვაშინგტონს ბაჯრობის დარგში. კალგარში გამოსვლისას კანადის ენერგეტიკის, სამთამადნო მრეწველობისა და რესურსების მინისტრმა ჯ. კრეტიენმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწოდებული კანადის ბუნებრივი გაზი 11 პროცენტით იაფდება 1980 წელს ორ ქვეყანას შორის შეთანხმებულ დონესთან შედარებით.

კანადიან პრესის სააგენტო ამ გადაწყვეტილებას აფასებს როგორც ამერიკის მხრივ „ზემოქმედების შედეგს“.



ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ჩვენს პლანეტაზე მობრძანებამ ჰაერი გააათბო, მაგრამ მიწა აქამდე ჯერ კიდევ თოვლისა და ყინულის მარწუხშია მოქცეული. წელიწადის დროთა მონაცვლეობა ბრძოლით ხდება და არა ისე უმტკივნეულოდ, როგორც, ვთქვათ, ესტაფეტის გადაცემისას. ზამთარს კუდის მოქნევა სურს, რომ გაზაფხულის პირველი ყლორტები ჩაკლას.

ივგივე ხდება საერთაშორისო ასპარეზზეც და სავალდებულო არ არის პოლიტიკის სინოპტიკოსი იყო, რომ აღრიცხო მშვიდობისა და ომის, პროგრესისა და რეაქციის ძალების გაუფწყვეტელი მეტოქეობა. ამაში რომ დარწმუნდე, საკმარისია გაზეთების გადაფურცვლა, ტელევიზორის ყურება, რადიის მოსმენა.

ეხება ისეთ, რომ გაზაფხულის პირველ თვეში — მარტში დედაწიწის სხვადასხვა ნაწილში მოეწყო შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების სამხედრო მანევრები. დასავლეთ ევროპაში გაიმართა მანევრები კოდური სახელწოდებით „უინტექსი“. მათი მიზანი იყო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების წინააღმდეგ ნატოს „კუნთების ვარჯიში“. კარიბის ზღვის რაიონში მეწყო მანევრები „რედექსი“. მათში მონაწილეობდა ნატოს 70 საბრძოლო ხომალდი. ეს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის უდიდესი სამხედროსაზღვაო შენაერთია ამ რეგიონში ბოლო წლების მანძილზე. როგორც ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსმა ადმირალმა ჯეიმს უოტკინსმა განაცხადა, მანევრების მიზანი იყო საბჭოთა კავშირისათვის „ეგრძნობინებინათ“, რომ ნატო მას უფლებას არ მისცემს „ცენტრალური ამერიკა აღმოსავლეთ ევროპად გადააქციოს“ (!). და ბოლოს, წყნარი ოკეანის ვრცელ აკვატორიაში, რომელიც კორეის ნახევარკუნძულს აკრავს, გაიმართა მანევრები „ტიმ სპირიტი-83“. იგი მიმდინარეობდა პენტაგონის იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს როგორც სოციალისტური ქვეყნების, ისე აზიის განვითარებადი სახელმწიფოების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში სამხრეთი (ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, სამხრეთ კორეა) აგრესიული კავშირის შეკოწიწებას.

ის ფაქტი, რომ ეს მანევრები — „უინტექსი“, „რედექსი“ და „ტიმ სპირიტ-83“ — მარტში მოხდა, ცხადია, დამთხვევაა, მაგრამ ეს დამთხვევა მაინც სიმბოლურია. იგი გამოხატავს ვაშინგტონის ექსპანსიონისტურ სტრატეგიას, მსოფლიო ბატონობის მისაღწევად და ყოველივე მოწინავის, პროგრესულის ჩასახშობად მის აგრესიულ კურსს.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის, თუ რა რეაგირება მოახდინა რეიგანის ადმინისტრაციამ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VII კონფერენციაზე, რომელიც მარტში ინდოეთის დედაქალაქ დელში გაიმართა ამ ფორუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ „დელში მიღებული მიუმხრობლობის მოძრაობის დეკლარაცია მრავალმხრივ შეუწონასწორებელი და პოლემიკური დოკუმენტია. რომელიც არ გამოხატავს ამ მოძრაობის გამოცხადებულ მიუმხრობლობის პრინციპებს. ამის გამო შეერთებული შტატები წუხილს გამოთქვამს“.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს განცხადების ქედმაღლური ტონი. 101 მიუმხრობელი ქვეყანა იღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას, ხოლო ერთი — ამერიკის შეერთებული შტატები ყველას ასწავლის ჭკუას, კერძოდ კი იმას, თუ რა არის მიუმხრობლობა.

მაინც რა მოეჩვენა ვაშინგტონს, მიუმხრობლობის ამ ახალმოვლენილ „ექსპერტს“, დელის დოკუმენტებში „შეუწონასწორებლად და პოლემიკურად?“. ის, რომ, როგორც პოლიტიკურ დეკლარაციაშია ხაზგასმით ნათქვამი, მიუმხრობლობის პოლიტიკის არსია იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აპარტეიდისა და რასიზმის, მთ შორის სიონიზმის, საერთოდ ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ცხადია, ამგვარი დეკლარაცია არ ეპატნავათ ამერიკის მმართველ წრეებს შეერთებულ შტატებში, რომელიც მთელი ამ რეაქციული ძალების ბურჯია. ვაშინგტონი გააღიზიანა აგრეთვე გადაწყვეტილებამ ახლო აღმოსავლეთის საკითხზე, რომელიც გმობს ისრაელს, გადაწყვეტილებამ ლათინური ამერიკის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს ამ კონტინენტის ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, გადაწყვეტილებამ სამხრეთ აფრიკის თაობაზე, სადაც პრეტორია რასიზმსა და აპარტეიდს ამკვიდრებს.

მაგრამ აქ უკვე ვერას გააწყობ. განა თვით ვაშინგტონი არ უჭერს მხარს და აქეზებს აგრესიულ ისრაელს, ლათინურამერიკელ დიქტატორებსა და სამხრეთაფრიკელ რასისტებს? როგორ შეიძლება „შეწონასწორებულად“ მიუდგე, ერთი მხრივ, აგრესორებს, ჯალათებს, რასისტებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მსხვერპლთ. სხვათა შორის სწორედ მარტის თვემ დაადასტურა თვით ვაშინგტონის „შეწონასწორება“ ამ საკითხებში. მაგალითად, რეიგანმა მოითხოვა სალვადორის ხუნტას 110 მილიონი დოლარით მოუმატონ სამხედრო დახმარება, აგრეთვე გაზარდონ ამ ქვეყანაში ამერიკელი სამხედრო მრჩევლების რიცხვი. ამგვარ ტენდენციებს ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამერიკის პოლიტიკას სალვადორის მიმართ ხშირად „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკას ადარებენ.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის პრობლემას, სწორედ მარტში ვაშინგტონში იმყოფებოდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. შამირი. მისი მოლაპარაკება პრეზიდენტ რეიგანთან და სახელმწიფო მდივან შულცთან უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავდა ლიბანში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაფართოებას, ამ მრავალტანჯული ქვეყნის ისეთ პლაცდარმად გადაქცევას, საიდანაც უფრო გადვილდება ახლო აღმოსავლეთის სხვა სუვერენული სახელმწიფოების სამშინაო საქმეებში ჩარევა. შამირის მოლაპარაკება ვაშინგტონში, ამერიკის ექსპრეზიდენტის ჯიმი კარტერის მარტის ტურნე ახლო აღმოსავლეთის დედაქალაქებში, ლიბან-ისრაელ-ამერიკის მოლაპარაკების მიმდინარეობა — ყოველივე ეს კვლავაც მოწმობს, რომ ვაშინგტონი განაგრძობს კემპ-დევიდის სულისკვეთებით და „რეიგანის გეგმის“ შესაბამისად არაბული ქვეყნების გათიშვის კურსს, სურს ისინი ამ რეგიონში პენტაგონის სტატეგიაზე მიზნებს დაუმორჩილოს, თავს მოახვიოს მათ სეპარატული და არათანასწორუფლებიანი გარიგება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ისრაელთან.

მაგრამ, მოდით, ისევ დელის ფორუმს დავუბრუნდეთ. მის მიერ მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება საერთაშორისო ურთიერთობაში ახლანდელი ტენდენციების გამო, რომელნი საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას. გამალებულმა შეიარაღებამ, განსაკუთრებით ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის დაგვარ ტენდენციებს ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამერიკის პოლიტიკას სალვადორის მიმართ ხშირად „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკას ადარებენ.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის პრობლემას, სწორედ მარტში ვაშინგტონში იმყოფებოდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. შამირი. მისი მოლაპარაკება პრეზიდენტ რეიგანთან და სახელმწიფო მდივან შულცთან უწინარეს ყოველ

ნიჭიერი აგროქიმიკოსი, უნარიანი ორგანიზატორი

პროფესორ ივანე სარიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

ივანე სარიშვილი ქართველ აგროქიმიკოსთა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, ვისაც წილად ხვდა საქართველოში პეტრე მელიქიშვილის მიერ საფუძველჩაყრილი აგროქიმიური მეცნიერების განვითარება და შემდგომი გაღრმავება.

საბჭოთა აგროქიმიური მეცნიერების ფუძემდებლების — დ. პრიანიშნიკოვის, კ. გედროიცის, ა. სოკოლოვის, ა. კირსანოვის და სხვათა გვერდით მოღვაწეობამ მოსკოვსა და ლენინგრადში წარუშლელი კვალი დაჩნია ი. სარიშვილის მთელ შემდგომ საქმიანობას.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩამოყალიბდა სარიშვილის მეცნიერული მრწამსი — გაეზადა მეცნიერების მიღწევები სოფლის მეურნეობის პრაქტიკის კუთვნილებად და ხელი შეეწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩქმა-ვლობისათვის.

24 წლისა იყო, როცა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე მიიწვიეს. სწორედ ამ ხანიდან დაიწყო ი. სარიშვილის მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. ახალგაზრდა მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ აგროქიმიის კათედრას, რომელსაც შემდგომ მთელი 36 წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში თარგმნა მან ქართულ ენაზე გ. პრიანიშნიკოვის კლასიკური წიგნი „აგროქიმია". იგი მრავალი წლის განმავლობაში შეუცვლელი სახელმძღვანელო იყო ჩვენი სტუდენტობისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის მუშაობაში ერთმანეთს ბუნებრივად ერწყმოდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისა და უაღრესად საჭირო და სასარგებლო კვლევითი მუშაობის ამოცანები. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ — დღეს რესპუბლიკის აგროქიმიური სამსახური და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აგროქიმიის განყოფილებები თითქმის მთლიანად ამ კათედრაზე აღზრდილი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა აგროქიმიკოსებმა საზღვრებად გაართვეს თავი მეტად რთულ ამოცანას — ნიადაგის ნაყოფიერებისა და მცენარის კვების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას.

ორმოციან წლებში ი. სარიშვილი დიდ მუშაობას ეწეოდა წითელმიწა ნიადაგების ბუნების, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესასწავლად. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქიმიური მელიორაციის საკითხებს. ამ მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა სადოქტორო დისერტაციამ, „წითელმიწა ნიადაგების მოკირიანების თეორია და პრაქტიკა". ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია ორჯერ გამოიცა რუსულ ენაზე... საყურადღებო გამოკვლევები მიეძღვნა მეცნიერმა ფოსფორის გარდაქმნის წითელმიწა ნიადაგებში. ასევე ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგს იყო მარცვლოვან კულტურათა განოყიერების სისტემის საკითხების დამუშავება.

50-იანი წლებიდან ი. სარიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო გამოკვლევა საკვები ელემენტების შემცველობის შესასწავლად რესპუბლიკის მიწათმოქმედების სხვადასხვა ზონებში. სწორედ ამ გამოკვლევის შედეგად დადგინდა საკვები ელემენტების შემცველობის დიდი სიჭრელე ერთი და იგივე ტიპის ნიადაგების სხვადასხვა ნაკვეთებზე და ჩვენს რესპუბლიკაში პირველი აგროქიმიური კარტოგრამა შეიქმნა. იქიდან მოყოლებული უკვე კარგა ხანია ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების გამოყენების მეცნიერულ საფუძვლად აგროქიმიური კარტოგრამები იქცა.

წარმოებაში აგროქიმიური კარტოგრამების ფართოდ დანერგვის საქმეობამ გამოიწვია აგროქიმიური სამსახურის შექმნა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები. ასეთი ლაბორატორია საქართველოში სამია, მათ ჩამოკალიბებასა და ორგანიზაციულად განმტკიცებაში ი. სარიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

მეცნიერი ნაყოფიერად იკვლევდა სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიის საკითხებსაც. მან დიდი ამაგი დასდო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, როცა მისი რექტორი იყო თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში.

1974 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ი. სარიშვილი სათავეში ედგა აგროქიმიური მომსახურების საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალს. აქაც ჩვეული ენერგიით შეუდგა ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცებას, რასაც კვლავინდებურად უხამებდა მეცნიერულ მოღვაწეობას.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის და სპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება.

მისი მეცნიერული დამსახურება იმითაც დაფასდა, რომ არჩეული იყო საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

დაბადების 70 წლისთავზე პატივისცემითა და სიყვარულით ისხენებენ სწავლულისა და აღმზრდელის ამაგს მისი კოლეგებიც და ნამოწაფარნიც; თავისი შესანიშნავი მასწავლებლების დარად ი. სარიშვილმა ღირსეულად მოიხადა ვალი მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ო. ზარდალიშვილი,
შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დღის წესრიგში — სპარტაკიადა

ივის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავენი სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრნენ საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ბ. ივი ცქიტიშვილი, სპორტკომიტეტის მთავარი მნვრთნელები: კლასიკურ ჭიდაობაში — ომარ ბლიაძე, ძიუდოში — ტარიელ ჩუთლაშვილი, თავისუფალ ჭიდაობაში — ედიშერ მაჩარაძე, სამბოში — თენგიზ კიკნაძე.

კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა ● ძიუ-დო ● სამბო

ბ. ცქიტიშვილი: რა დასამალია, რომ სპორტის ქომაგები მეტს ელიან ქართველი მოჭიდავეებისაგან. ქართველი ფალავნები ხომ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე დიდებით მოსავდნენ საბჭოთა სპორტის ღირსებას. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მარტოოდენ ხალასი ნიჭი და ტრადიციები სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ არა ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების ერთობლიობა, როგორებიცაა — შეუმცდარი სელექცია და სპორტული პედაგოგიკა, საქმის გონივრული ორგანიზაცია, სპეციალისტთა უეჭველად მაღალი კვალიფიკაცია, ბაზების საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, სიახლის გრძნობა, წინასწარმეტყველების უნარი, მეცნიერებასთან სპორტის ინტეგრაციის აუცილებელი პროცესი და სხვა. სწორედ პრობლემათა ამ რიგში იყოს თავს ჩვენი ჭიდაობის ჩამორჩენის არაერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი. ამ მიზეზთაგან ერთზე განსაკუთრებით უნდა შეჩერდეთ: მხოლოდ ოლიმპიური სახეობებით გატაცებისა გამო მზრუნველობა მოვაკელით ქართულ ჭიდაობას — ყველაზე მაღალი რანგის ახპარეზობებში მრავალ გამარჯვებათა თავწყაროს. რაღომღაც ქართული ჭიდაობა ფოლკლორულ სანახაობად იქცა. ქართული ჭიდაობა აუცილებლად მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს, განსაკუთრებით სოფლად და რესპუბლიკის რაიონული ცენტრების სპორტულ ცხოვრებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლებთ ყველა სახეობის ჭიდაობაში უკეთესი რეზერვების გამოძებნას. საქართველოს სპორტკომიტეტს გაანალიზებული აქვს რესპუბლიკაში ჭიდაობის ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზები. ჩვენი მეცადინეობაც ამ შეფერხების შეძლებისდაგვარად სრული და მეთოდური დაძლევისკენ არის მიმართული. ისევე, როგორც ყველა საქმეში, ცხადია, შეუძლებელია ყველაფრის ერთად გაწვდენა, ყველგან და ყოველთვის პირველობის მოპოვება, მაგრამ ერთი კი უდავოა, ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ იმისათვის, რომ კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩავდგეთ. საქმის გამოკეთება უცებ, ხელის ერთი დაკვრით, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. ეს უფრო დროის საქმეა. წლევანდელ ხაკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენ სერიოზული გამოცდა გველის. სწორედ სპარტაკიადა დაგვანახვებს, თუ ხად მოვინაცვლეთ ფეხი უკეთესობისკენ და ხად ვერა.

ო. გლიაძე: საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია დ. დავთაია. წინა სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. მაშინ ერთი ჩემპიონი გვყავდა. ახლა გუნდი სამეულში დასამკვიდრებლად იბრძოლებს. ჩემპიონიც, ჩვენი აზრით, მეტი გვეყოლება.

ე. მაჩაიძე: მეშვიდე სპარტაკიადა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებისათვის ყველაზე წარუმატებელი იყო — მეცხრე ადგილი და არც ერთი ჩემპიონის წელს სპარტაკიადაზე საგრძნობლად გადახალისებული გუნდი გამოვა. ნაკრების უფროსი მწვრთნელია ვ. მესტვირიშვილი. ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავეები ეცდებიან აუცილებლად გაიუმჯობესონ საერთო გუნდური შედეგი და 2-3 მედალიც მოიპოვონ.

ბ. ჩუთლაშვილი: ქართველ ძიუდოისტთა სპარტაკიადისათვის მზადებას ბ. ხაბულიანი უდგათ სათავეში. გუნდის მიზანია წინა სპარტაკიადის მეექვსე ადგილიდან ხელ ხულ ცოტა ორი-სამი საფეხურით წინ წაწევა.

თ. კინაძე: სამბისტთა გუნდს მესამე-მეოთხე ადგილისათვის ბრძოლას ვუცხადებთ. გუნდის უფროსი მწვრთნელია ო. გულიაშვილი.

ბ. ცქიტიშვილი: კარგა ხანია ქართველი მოჭიდავეები მერვე სპარტაკიადისათვის მზადების გეგმა-კალენდრით ვარჯიშობენ. მნიშვნელოვან ახპარეზობათათვის მზადების დასკვნით ხასწავლო-საწვრთნელი შეკრებისათვის არაერთხელ უმასპინძლიათ ბორჯომის, ორჯონიკიძის, ახალციხის და ყვარლის რაიონებს. ჩვენ ყოველთვის დიდი მადლიერებით გრძნობთ ვიხსენებთ ამას. ახლაც მათი დიდი იმედი გვაქვს. მადლობა მინდა გადავუხადო მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებთან მომუშავე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომორგებს, რომელთა დროული დახმარება ხელს უწყობს სპარტაკიადისათვის სპორტსმენების უკეთ მომზადებას. დანარჩენი მოჭიდავეების საქმეა. იმედია, ისინი ალარ გაგვაწბილებენ და სასურველი წარმატებისათვის თავს არ დაზოგავენ.

სახეობათა სავიზიტო გარათეგი

პირველი საკავშირო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში 1924 წელს გაიმართა, თავისუფალ ჭიდაობაში — 1945 წელს, სამბოში — 1939 წელს, ძიუდოში — 1973 წელს. ამ სახეობებში საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ თავი უცხოეთისა თუ საკავშირო სარბიელზე. გვყავს მრავალი მსოფლიო, ოლიმპიური, ევროპის თუ სსრ კავშირის ჩემპიონი, რომელთა ჩამოთვლას ალბათ ჩვენი გაზეთის მთელი გვერდი ვერ დაიტევდა. გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, მაგალითად, გ. კარტოზია **(კლასიკური ჭიდაობა)** პირველი მსოფლიო ჩემპიონია რესპუბლიკაში კულტივირებული ყველა სახეობის სპორტსმენთა შორის. გ. კარტოზია და რ. აბაშიძე სამსამჯერ დაეუფლნენ მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლებს. რ. რურუა ოთხჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი. გ. კარტოზია, რ. რურუა და ა. ქორიძე ოლიმპიადის ოქროს მედალოსნები არიან. **თავისუფალ ჭიდაობაში** სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ ლ. თედიაშვილი (ოთხჯერ), ვ. ბალავაძე (ორჯერ), გ. საღარაძე (ორჯერ), შ. ლომიძე (ორჯერ), გ. სხირტლაძე, ვ. რუბაშვილი და ზ. ბერიაშვილი. ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ ლ. თედიაშვილი (ორჯერ), დ. ციმაკურიძე და მ. ცალქალამანიძე. **სამბოში** მსოფლიო ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს ლ. თედიაშვილმა, გ. გიორგაძემ და ი. მაღალაშვილმა. **ძიუდოში** ქართველ სპორტსმენთა-გან პირველად მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა თ. ხუბულურმა, ოლიმპიადაში კი შ. ჩოჩიშვილმა. ქართველ ძიუდოისტთა-გან დიდად პოპულარული იყო ა. კიკნაძე, რომელმაც არაერთი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა სხვადასხვა დონის ასპარეზობებში.

რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს, ჩვენი სპორტსმენების შედეგები ასეთია: **კლასიკური ჭიდაობა.** სხვადასხვა დროს სპარტაკიადის ჩემპიონები იყვნენ რ. რურუა (სამჯერ), ო. ეგაძე (ორჯერ), ჯ. მეგრელიშვილი და მ. სალაძე; გუნდური ადგილები: პირველ სპარტაკიადაში — IV; მეორეში — VI; მესამეში — II, მეოთხეში — IV; მეხუთეში — II, მეექვსეში — VI; მეშვიდეში — IV; **თავისუფალი ჭიდაობა.** ჩემპიონები: შ. ლომიძე (ორჯერ), მ. ცალქალამანიძე, გ. სხირტლაძე, ვ. არსენიანი, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, ტ. ალიბეგაშვილი, ლ. თედიაშვილი; გუნდური ადგილები: პირველ სპარტაკიადაში — II, მეორეში — III, მესამეში — II, მეოთხეში — I, მეხუთეში — I, მეექვსეში — VI, მეშვიდეში — IX, **სამბო.** ჩემპიონები: ი. მაღალაშვილი (ორჯერ), ს. ქარელი, გ. გოგოლაური. გუნდური ადგილები: მეხუთე სპარტაკიადაში — III, მეექვსეში — II, მეშვიდეში — V; **ძიუ-დო.** ჩემპიონები: რ. ხარშილაძე (ორჯერ), ჯ. ნიჟარაძე, თ. ხუბულური; გუნდური ადგილები: მეექვსე სპარტაკიადაში — I, მეშვიდეში — VI.

ყაბახი

ჭადრაკის დაფებთან

გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩები. **ბად-კახინგენში, (გფრ)** ლ. სემიონოვასა (სსრ კავშირი) და მ. მურეშანის (რუმინეთი) მეშვიდე პარტია გადადებული იყო და სემიონოვა თამაშის განუახლებლად დანებდა მეტოქეს. ახლა ანგარიშია 4:3 სემიონოვას სასარგებლოდ. **ფელდენში (ავსტრია)** გათამაშდა ვ. სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რ. ჰიუბნერის (გფრ) მეათე პარტია. იგი გადაიდო და სმისლოვს ზედმეტი პაიკი აქვს. ჯერჯერობით ანგარიშია 4,5:4,5.

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის მეშვიდე ტურის პარტიები. ამ შეხვედრების წინ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: ფსახისი — 3,5 ქულა (1 გადადებული) — 6 შეხვედრიდან, რომანიშინი — 3,5 — 5-დან, პოლუგაევსკი — 3(1) — 5-დან, ბელიავსკი და ტუკმაკოვი — 3-3 (თითო გადადებული) — 6-დან, ბალაშოვი, ვაჰანიანი, კარპოვი — 3-3 — 6-დან, აგზამოვი — 2,5 (1) — 5-დან, იუსუპოვი — 2,5 (1) — 6-დან, გელერი — 2,5 — 5-დან, აზმაიფარაშვილი — 2 (1) — 5-დან, ლერნერი, მალანიუკი — 2-2 (თითო გადადებული) — 6-დან, პეტროსიანი — 1 (1) — 5-დან, ტალი — 1 (½) — 6-დან, რაზუვაევი — 1 (1) — 5 შეხვედრიდან.

იაროსლავლში გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი საკავშირო შეჯიბრება. ამ ტურნირში მოასპარეზე თბილისელმა გია გიორგაძემ პირველი პარტია მოსკოველ ვ. ბორევთან ყაიმით დაამთავრა, მეორე ითამაშა ჟელეზნოვოდსკელ ა. დრეევთან. ეს პარტია გადაიდო. რაც შეეხება მესამე შეხვედრას, იგი გიორგაძემ უფელ რ. დაუტოვთან წაგო.

ფიგურული ციგურაობა. კრასნოიარსკში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა თბილისის დინამოელმა ბადრი ყურაშვილმა. მან ვაჟთა ერთეულების ახპარეზობაში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. მას წინ გაუსწრო მოსკოველმა გ. ვარდანიანმა. მესამე იყო ერევნელი ს. მხითარიანი. ქალთა ერთეულებში გაიმარჯვა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა კ. ივანოვამ, მოკეკვავეთა შორის უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები ნ. ანენკო და გ. სრეტენსკი.

„ტორპედოს" ახალი მწვრთნელი

კუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობაში ცვლილებაა. გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა თ. გრიეველიშვილი. ა. ნორაკიძე ავადმყოფობის გამო საკუთარი თხოვნით განთავისუფლებულია უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან.

სატურნირო ორბიტა

ძიუ-დო. კიევში დამთავრდა მეგობრული არმიების საერთაშორისო შეჯიბრება. რვა წონითი კატეგორიიდან შვიდში უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა ათლეტები. **მათ შორის არის თბილისელი ქვემძიმე წონის ძიუდოისტი ბ. გოგიჩაშვილი.**

რეგბი. ფერგანასა და კენტაუში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ შედეგებს: **ფერგანა.** მოსკოვის ოლქის სამხედრო-სპორტიერო აკადემიის გუნდი-თბილისის „ლოკომოტივი" — 10:6, კიევის „ავიატორი"-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 16:22, კრასნოიარსკის „ექსკავატორ-ტიატრონი"-კაუნასის „სტაკლესი" — 19:6; **კენტაუ.** მოსკოვის „ფილი"-ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის გუნდი — 16:12, მოსკოვის „სლავა"-კიევის „პოლიტეხნიკი" — 10:4, ლენინგრადის „პრიმორეცი"-ლვოვის „სოკოლი" — 12:7.

ფაში. ტალინში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ლენინგრადელმა ა. დიბმანმა 11 ქულა დააგროვა და ჩემპიონის წოდებას დაეუფლა.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

გაიხსნა

მხატვრის

კვირეული

დათვალიერებას იწყებენ ნორჩები

12 აპრილს ბავშვთა სურათების თბილისის გალერეაში გაიხსნა გამოფენა „სიმფონიის მოჭანაზე". ნათელი და კეთილი სამყარო, რომელშიც საბჭოთა ბავშვები ცხოვრობენ, წარმოუდგებათ გამოფენის დამთვალიერებლებს. მრავალფეროვანი ექსპოზიცია მხატვრის კვირეულის — საბჭოთა სახვითი ხელოვნების ტრადიციული დღესასწაულის — შთამბეჭდავი პროლოგი გახდა. უფროსკლასელების მიერ შექმნილი ფერწერა, გრაფიკა, ჭანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ასახავენ სამშობლოს ისტორიასა და დღევანდელ დღეს, შშობლიური მხარის პეიზაჟებს, თანატოლების, საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოებების გმირთა პორტრეტებს.

შემთხვევითი როდია, რომ კვირეულს ხსნის ნორჩების ნამუშევრები, — თქვა ვერნისაჟზე საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა რ. თორდიამ. — ეს საპატიო უფლება მათ მოიპოვეს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში მრავალგზის გამარჯვებით. ჩვენ ნაყოფიერ მუშაობას ვეწევით ნორჩ მხატვართა ესთეტიკური აღზრდისათვის. ბევრ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში შექმნილია კლასები, სადაც საფუძვლიანად სწავლობენ სახვით ხელოვნებას, კერამიკის, ფერწერის, ჭანდაკების სექციები. ბევრია სასახლეებთან და კულტურის სახლებთან მოქმედებს ბავშვთა ლექტორიუმები, წრეები, სახვითი ხელოვნების სტუდიები.

ბავშვთა სურათების რესპუბლიკურ გალერეას მხატვრის კვირეულის გახსნის დღეს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელი მიენიჭა.

(საქინფორმი).

კომპანიაში

ჩვენი ტელეფონები და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ფიგნის თარო

მინდა მოთხრობების ერთ დიდ კრებულზე გესაუბროთ, რომელიც ახლახან წავიკითხე. იგი იმიტომაც ავირჩიე, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურის კარგი შენაძენია. მისი ავტორია ცნობილი მწერალი თენგიზ გოგოლაძე.

იგი ქართულ მწერლობაში მოვიდა მოთხრობით „გარიყულს განთიადი". ამას მოჰყვა „კარგი დღე", „ჩვენს ქუჩაზე" და სხვა მოთხრობათა წიგნები. შემდეგ გამოაქვეყნა რომანი „კაცი კაცითა", შეუდგა ტრილოგიის წერას, რომლის სათაურია „გზა კაცისა". პირველი წიგნი უკვე გამოსულია, მეორე გადაცემულია გამოსაცემად, მზად არის მესამეც.

მერე თენგიზ გოგოლაძემ თავისი კალმი საბავშვო მწერლობაშიც სცადა. რამდენიმე მოზრდილი საყმაწვილო მოთხრობა ჯერ პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა, ახლა კი ისინი ერთ დიდ წიგნად აიკინძა და გამომცემლობა „ნაკადულმა" დასტამბა. წიგნს დაერქვა ერთ-ერთი მოთხრობის სათაური „რითი ვჯობიავარ მამაჩემს", რომლის გარდა წიგნში შესულია მოთხრობები „შუქი სიკეთისა", „ბიჭები და გოგოები" და „მერცხლები".

ამ მოთხრობების მთავარი გმირები ახალგაზრდები არიან. აკი ერთ-ერთ მათგანსაც „ბიჭები და გოგოები" ჰქვია. ყველა მოთხრობაში ავტორი ამბავს პირველი პირით გადმოგვცემს. მთავარი გმირები — ყმაწვილები გვიამბობენ თავიანთ საინტერესო, წინააღმდეგობებით აღსავსე თავგადასავალს. ზოგმა შეიძლება იფიქროს: თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილებს აბა რა დიდი და საინტერესო თავგადასავალი ექნებათო? მაგრამ, თურმე, არც ასეა საქმე!

წიგნში მძაფრი მხატვრული ფერებით ბოლო ადამიანემდე არა მარტო ყმაწვილების სწავლა, მეგობრობა, სკოლის გარეშე, არამედ მრავალი ცხოვრებისეული მტკივნეული პრობლემა.

მოთხრობა „რითი ვჯობიავარ მამაჩემს" საინტერესოდ ვითარდება. აქ დაბატონია მოსწავლეთა ურთიერთობა, მეგობრობა, საქმიანობა, პედაგოგების, მშობლების ცხოვრება. მოთხრობის მთავარი გმირია მოსწავლე ბონდო, რომელიც გულწრფელად მოგვითხრობს თავის თავგადასავალს. იგი არ ცდილობს თავისი ცუდი საქციელის დამალვას. ბონდო ისეა წარმოდგენილი მოთხრობაში, რომ საბოლოოდ ნათელ სახედ რჩება. ბონდოს ამბანაგი დათო. ამ ორი ყმაწვილის ცხოვრების პირობები სხვადასხვანაირია. დათო ხელგაშლილი ბიჭია, რა თქმა უნდა, მამის ხარჯზე. ბონდო ზშირად მოდიოდა ხოლმე დათოს მამის ოჯახში. მას თვალი რჩებოდა მათს სომდიდრეზე. ერთხელ მამას საყვედურის კილოთი, თან ხვეწნით ეუბნება: „იყიდე, რა, შენც იყიდე. ნუთუ არ შეგიძლია?!" მამამ ბონდოს ასე უპასუხა: „რასაც ეს აკეთებს, იმას მე ვერ ვაკეთებ, არ მინდა ჩემი მოქმედება ცხოვრებაში წინ დაგზდეთ. და საერთოდ, თუ მოუკლავ დათოსთან სიარულს, უკეთესი იქნება შენთვის". ასე არიგებდა მამა, მაგრამ ბონდოს მაინც იქითკენ მიუწევდა გული. დათოს მამა, ვლადიმერი კიდევ დასცინოდა ბონდოს მამას: უშონ და უხერხემლოაო. ბონდომ ვლადიმერის დამცინავი სიტყვები უფრო მიიტანა გულთან, ვიდრე მამის კეთილი რჩევა-დარიგება.

ბონდო სწორ გზას აცდენილი ახალგაზრდაა. მშობლებს არ მოსწონდათ მისი საქციელი. არც მათი პატიოსანი შრომა-გარჯა იქცევდა ბონდოს ყურადღებას და ისევ და ისევ დათოს მამის ხელგაშლილობა იზიდავდა. ბიჭს ისიც კი ეგონა, ამხანაგების ხარჯზე ვიცხოვრებო, ამიტომ სწავლაზეც აიცრუა გული. მშობლებმა რჩევა-დარიგებით რომ ვერ მოახდინეს ზეგავლენა, მაშინ სცადეს, გაეცნოთ მისთვის და დაეახლოებინათ ვინმე ცნობილი პიროვნება, იქნებ მან მაინც მოახდინოს კეთილი გავლენაო. ასეთი კაციც ნახეს — ეს იყო პოეტი ალეკო შენგელია! ასეთი რეალური პერსონაჟის შემოყვანა ნაწარმოებში გაბედული ხერხია, რადგან მისი დამახასიათებელი სიტყვა-პასუხისა და მოქმედების დაცვა საჭირო. ამას მწერალმა კარგად გაართვა თავი. ამ რეალური პერსონაჟის გამოჩენით ნაწარმოები კიდევ უფრო საინტერესო გახდა. ვინც ალეკოს იცნობდა, მას უთუოდ თვალწინ დაუდგება პოეტი, მისი მოსწრებული იუმორით სავსე საუბრებით. პოემა თავისი ლექსების წიგნიც კი უძღვნა წარწერით. მწერალმა თენგიზ გოგოლაძემ ამ მოთხრობაში დაგვიხატა მწერალი-მოქალაქე ალეკო შენგელია, რომელმაც გულთან მიიტანა სწორ გზას აცდენილი ყმაწვილის ბედი, მისი საზოგადოებრიობისათვის სასარგებლო ადამიანად ქცევის ამბავი. იმოქმედა ალეკომ, მაგრამ მწერალმა ისიც გვიჩვენა, რომ მარტო პოეტის რჩევა-დარიგებაც არ გამოდგა უებარი წამალი. ნიკალა პაპას გამოჩენაც ბონდოსა და მისი ამხანაგების სწორ გზაზე დაყენებას ემსახურება. გარდა ამისა, მწერალს არ გამოპპარვია ახალგაზრდა ადამიანში ახალი გრძნობის ჩასახვის დიდი ძალა. ეს არის სიყვარული, რომელიც უხმოდ, უსიტყვოდ მოგიწოდებს, აკეთო კარგი საქმე, ჩაიდინო გმირობაც კი.

ეს ახალი გრძნობაც რომ ჩაესახა ბონდოს, მაშინ მის გუნებაზასიათშიც ხდება სასიკეთო ცვლილება. ბონდომ იმედი ჩაუსახა მშობლებს და ჩვენც უკვე ალამაზი ოცნებითა და კეთილი მიზნით განმსჭვალულ ბონდოს ვემშვიდობებით მოთხრობის ბოლოში.

თუ ამ მოთხრობაში მთავარი პერსონაჟი საზოგადოების მანკიერ თვისებებს სხვა ოჯახში ხედავდა, მოთხრობაში „შუქი სიკეთისა", ნაკლთა მხილველი თავის ოჯახში გახდა ჯერ კიდევ მცირე ასაკოვანი ყმაწვილი ტატე გოცირიძე. მწერალს აინტერესებს მკითხველს ნათლად უჩვენოს ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თვისება — ადამიანებზე ადამიანების მზრუნველობა. ამ მოთხრობაში, მართლაც, სიკეთის შუქი ტრიალებს.

როცა მოთხრობა „ბიჭები და გოგოები" წავიკითხე, ჩემს წარმოდგენაში ცოცხალ სახეებად დარჩა ორი პიროვნება, ორი მერაბი. ერთია მოსწავლე მერაბი, მეორე კი მასწავლებელი მერაბი. მოთხრობაში სხვაც ბევრი პერსონაჟია, მაგრამ პრობლემების წარმოჩენა მაინც იმ ორ მერაბთან არის დაკავშირებული. ერთი პრობლემა უკავშირდება მასწავლებლის როლს. მერაბი არც აქებს და არც ამცირებს თავის მასწავლებელს, მხოლოდ აღწერს მის მოქმედებას. ასე იხატება პროფესიული ადამიანის სახე. მასწავლებელი მერაბი მოქმედებს კეთილსინდისიერად. მოსწავლეს გულის მოგებას მაღალი ნიშნით ოდნავადაც არ გაივლებს გულში. ის ეძიებს ისეთ სამუღლებას, რომ მოსწავლე აღჭურვოს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნით. ამაში რწმუნდებიან მერაბი და მისი ამხანაგები. მოთხრობაში არსად არ არის თქმული სიტყვა „კარგი", მაგრამ მერაბ მასწავლებლის მოქმედება ამას ღაღადებს.

მოთხრობაში მეორე პრობლემად არის დასახული პროფესიის არჩევის საკითხი. ამასზე მოსწავლეები სერიოზულად მსჯელობენ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ეს პრობლემა რომ ერთი ხელის დაკვრით ვერ გადაიჭრება, ესეც კარგად ჩანს ნაწარმოებში.

თავისებურად არის გადაჭრილი მეგობრობის იდეა. ბიჭები და გოგონები გულწრფელად თანაუგრძნობენ, ცდილობენ გული არაფრით ატკინონ ერთმანეთს. თანდათანობით მტკიცედ